

თეონა ნიჟარაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

nisharadseteona@yahoo.com<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.48>

ზმნური ანგლიციზმების სემანტიკური ჯგუფები თანამედროვე

გერმანულში და მათი ქართული შესატყვისები

საკვანძო სიტყვები: ზმნური ანგლიციზმები, სიტყვათწარმოება, მორფოლოგიური ასპექტები, სემანტიკური განსხვავებები

ჩვენი ეპოქა გამოირჩევა განსაკუთრებულად სწრაფი ცვლილებებით. ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად იცვლება ენაც. მასზე დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური ფაქტორები.

ენები მუდმივ კონტაქტში არიან და ერთმანეთზე გავლენასაც ახდენენ. თუ გერმანული ენა ადრე სიტყვებს ბერძნულიდან, ლათინურიდან და ფრანგულიდან ითვისებდა, დღესდღეობით მთავარი წყარო ინგლისურია [Polenz 1999: 400]. ანგლიციზმების გავრცელების შესახებ ლინგვისტებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ. ენათმეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ანგლიციზმების შემოსვლა ენის ცვლილების ბუნებრივი პროცესის ნაწილია, რაც კომუნიკაციის შესაძლებლობებს აფართოებს და ლექსიკურ ფონდსაც უფრო მრავალფეროვანს ხდის. მათი მოსაზრებით, ანგლიციზმების რაოდენობის ზრდა გლობალიზაციის შედეგია და მას წინ არ უნდა აღუდგნენ, რადგან ენა თვითონვე დაარეგულირებს ამ პროცესს. ლინგვისტთა მეორე ნაწილის აზრით, ანგლიციზმების გავრცელება გერმანულ ენაზე უარყოფით გავლენას ახდენს და შესაძლოა, მრავალი გერმანული სიტყვა ენისგან განდევნოს. მათი თქმით, ანგლიციზმები იმდენად გავრცელდა გერმანულში, რომ ენა თითქმის გერმანულ-ინგლისურ ნაზავად იქცა [შდრ. ნიჟარაძე 2015:342]. ანგლიციზმები დღეს თითქმის ყველა სფეროში გვხვდება: ეკონომიკაში, ახალ ტექნოლოგიებში, პრესაში, ტელევიზიაში, ახალგაზრდების ენაში და ა.შ.

ანგლიციზმების გერმანულ ენაში მოხვედრისას ხდება მათი გაგერმანულება, ზოგიერთი ინარჩუნებს ინგლისური სიტყვის ფორმასა და მნიშვნელობას, ანუ სესხების დროს ხდება ფონეტიკური და გრამატიკული სუბსტიტუცია, ჩანაცვლება - ენობრივი ერთეული იძენს ნაწილობრივ ახალ გამოხატულებასა და შინაარსს. ნასესხობა მიესადაგება მსესხებელი ენის სისტემას ზოგჯერ იმდენად, რომ ზოგჯერ მისი უცხოური წარმომავლობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგად. ნასესხები ენობრივი ერთეულის ადაპტაციის, ანუ მსესხებელი ენის სისტემისადმი შეგუების, მისადაგების ხარისხს განსაზღვრავს ამ ერთეულის ხმარების სიხშირე და ზოგიერთი სხვა ფაქტორი. [გამყრელიძე 2003: 389]

ენათმეცნიერთა კვლევების თანახმად, გერმანული ენა არც ერთ პერიოდში ისე სწრაფად არ შეცვლილა როგორც მე-20 საუკუნეში. [Wegener 2007: 34] ვინაიდან ლექსიკა ენის ყველაზე დინამიური ნაწილია, ამიტომ ის უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე მორფოლოგია

და სინტაქსი, ამდენად უპრიანია ანგლიციზმების განხილვა სემანტიკურ დონეზე. გერმანული ენის შემსავლელთათვის განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის ზმნური ანგლიციზმების გაგება და მათი ქართული შესატყვისის მოძებნა. კვლევის მიზანს წარმოადგენს, დადგინდეს, არსებობს თუ არა ქართულში გერმანულში გავრცელებული ზმნური ანგლიციზმის შესატყვისი და როგორ გადმოიცემა ეს ტერმინები, თუკი პირდაპირი შესატყვისი არ არსებობს. სტატიაში განვიხილავთ ზმნური ანგლიციზმების სემანტიკურ ჯგუფებს და მათ ქართულ შესატყვისებს. სემანტიკური ჯგუფების კლასიფიკაცია დაფუძნებულია დოლაპჩიევას მოდელზე, რომლის მიხედვითაც ანგლიციზმები დაყოფილია კონკრეტულ კატეგორიებად. სტატიაში განხილულია ზმნური ანგლიციზმები გერმანული პრესიდან მოხმობილი მაგალითების საფუძველზე. საილუსტრაციო მასალა მოხმობილია DWDS-ის კორპუსიდან. ქართული ეკვივალენტებისათვის გამოყენებულია ორი ონლაინ რესურსი: უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი და ქართული ენის ციფრული ლაბორატორია. ამასთან ერთად, განხილულია როგორც სიტყვათწარმოების მორფოლოგიური ასპექტები, ასევე სემანტიკური განსხვავებები ამ ორ ენას შორის. ეს ანალიზი ქმნის სისტემურ მიდგომას ზმნური ანგლიციზმების უკეთ გასაგებად და მათი სწორი გამოყენებისთვის, რაც განსაკუთრებით სასარგებლო იქნება ქართველი სტუდენტებისთვის.

დოლაპჩიევას კლასიფიკაციის მიხედვით ცალკე ჯგუფად გამოიყოფა მოქმედების გამომხატველი ზმნები. ამ ჯგუფის ზმნები გამოხატავენ ქმედებას, რომელიც გულისხმობს სუბიექტის აქტიურობას. აღნიშნული ჯგუფი ზმნურ ანგლიციზმთა სიმრავლით გამოირჩევა. [დოლაპჩიევა 2006: 155]

Xavier Naidoo hat am Wochenende mit seinem Projekt „Wir **beaten** mehr“ in Hamburg und Berlin über zehn Spitzenkünstler aufgeboten. (DWDS. Die Zeit, 09.01.2011)

ქსავიერ ნაიდუმ შაბათ-კვირას თავისი პროექტით ჩვენ „**ვმნით მეტ რიტმულ მუსიკას**“ ჰამბურგსა და ბერლინში ათზე მეტი წამყვანი ხელოვანი შეკრიბა.

ფრაზა „Wir beaten mehr“ მუსიკის სფეროდან წარმოსდგება და ტერმინი „beaten“ არის ანგლიციზმი, რომელიც მომდინარეობს ინგლისური სიტყვიდან „beat“, რაც ნიშნავს „ტაქტს“ ან „რიტმს“. „Wir beaten mehr“ შეიძლება ვთარგმნოთ როგორც: „ჩვენ უფრო მეტ რიტმს ვქმნით“ ან „ჩვენ უფრო მეტ რიტმულ მუსიკას ვაწვდით“. გერმანულისგან განსხვავებით ქართულში შესატყვისი ანგლიციზმი არ მოიძებნება.

Am Sonntag wird von 11.30 bis 15 Uhr gejazzt und **gebruncht**. [Süddeutsche Zeitung, 25.05.2001]

კვირას 11:30 საათიდან 15:00 საათამდე ჯაზის მუსიკა და **ბრანჩი** იქნება.

brunchen გერმანულში ნიშნავს ბრანჩის მიღებას einen Brunch einnehmen. ქართულისაგან განსხვავებით გერმანულში გვაქვს ზმნური ანგლიციზმი. ქართულში ის შემოვიდა მხოლოდ არსებითი სახელის სახით. ბრანჩი უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით ნიშნავს საკვების არაფორმალურ მიღებას საუზმესა და ლანჩს შორის აშშ-ში. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=42944>

აქტიურობა შეიძლება დაიყოს ქვეჯგუფებად, რომლებიც სემანტიკურად განიმარტება, როგორც „აქტიურობა მიზნისკენ“, „აქტიურობა + ცვლილება“, „აქტიურობით რამეზე საკუთრების მოპოვება“. [დოლაპჩიევა 2006: 156]

„აქტიურობა მიზნისკენ და ზემოქმედება“

Wenn du von der Arbeit kommst, Mama, dann **puzzeln** wir! [Zeit Campus, 14.08.2012]

როდესაც სამსახურიდან მოხვალ, დედა, მაშინ ერთად **პაზლი ავაწყოთ!**

აღსანიშნავია, რომ ზმნა *puzzeln* ქართულში ვერ გადმოდის ზმნის სახით, თუმცა შესაძლებელია ის ვთარგმნოთ როგორც პაზლის აწყობა. პაზლი უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონის თანახმად ნიშნავს "ზოგადად თავსატეხს, კონკრეტულად კი ჰქვია თამაშ-თავსატეხს, რაც დანაწევრებული ელემენტებისგან ნახატის აღდგენას გულისხმობს." <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=219497>

მეორე ქვეჯგუფს წარმოადგენენ ზმნები, რომლებიც გამოხატავენ „აქტიურობას + ცვლილებას“. [დოლაპჩიევა 2015: 155]

Er hat einen Cocktail an der Bar gemixt.

მან ბარში კოქტეილი შეურია.

mixen როგორც ზმნა ქართულში არ არის შემოსული, თუმცა არსებობს არსებითი სახელი მიქსი, რაც ნაზავს აღნიშნავს. <https://dlab.ug.edu.ge/synonym/detail/23836/მიქსი>

Als er aber merkte, dass dieses Ziel nicht zu erreichen sei, habe er aufgehört, zu **dopen**. [Die Zeit, 29.01.2013]

თუმცა, როდესაც მიხვდა, რომ ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყო, მან **დოპინგის მიღება** შეწყვიტა.

dopen ქართულად შეიძლება ვთარგმნოთ როგორც დოპინგის მიღება ან გამოყენება. დოპინგი ნიშნავს "ნივთიერებას, რომელიც მცირე ხნით ალაგზნებს, სიმხნევს მატებს სპორტსმენის ორგანიზმს. აკრძალულია საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების მიერ." <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=67843>

მესამე ქვეჯგუფში წარმოდგენილია ზმნები, რომლებიც გამოხატავენ „აქტიურობით რამეზე საკუთრების მოპოვებას“. [დოლაპჩიევა 2006: 155]

აქტიურობა პირდაპირ კავშირშია ქმედებასთან, ამიტომ აქტიურობის გამომხატველ ზმნებს მოქმედებით ზმნებსაც უწოდებენ. მათი ძირითადი მნიშვნელობით ანგლიციზმების უმეტესობა მოქმედების გამომხატველი ზმნებია.

Seit drei Jahren **managet** er den Fußballverein.

სამი წელია ფეხბურთის კლუბს მენეჯერობს.

managen ქართულში შეიძლება ითარგმნოს როგორც ანგლიციზმი მენეჯერობს ან ხელმძღვანელობს. მენეჯერობა ქართულ ენაში უკვე დამკვიდრებულია და შეტანილია ქართული ენის ციფრულ ლაბორატორიაში. <https://dlab.ug.edu.ge/synonym/detail/51221/მენეჯერობა>

Er **pusht** das Team natürlich ohne Ende, er hat riesige Erwartungen. [Bild, 07.04.2005]

ის, რა თქმა უნდა, გუნდს დაუსრულებლად **ამხნევებს**, მას უზარმაზარი მოლოდინები აქვს.

pushen მომდინარეობს ინგლისური ზმნისგან *to push*, რაც ნიშნავს ძირითადად ფიზიკურ მოქმედებას - მიწოლას, ხელის ბიძგებას. ის ადაპტირდა გერმანულ ენაში და მისი მნიშვნელობა გაფართოვდა. გერმანულში ის მეტაფორულად გამოიყენება, რაც მოიცავს მნიშვნელობებს, როგორებიცაა „გამხნეება“, „წახალისება“, ან „მოტივაციის მიცემა.“ ქართულში აღნიშნული ანგლიციზმი შემოსული არ არის.

მეორე ჯგუფს წარმოადგენს პროცესის გამომხატველი ზმნები.

პროცესის გამომხატველი ზმნები აღნიშნავენ ცვლილების განხორციელებას სუბიექტზე. ის აჩვენებს პროცესს, მიმდინარეობას:

Jahrelang **boomte** der Reise Markt, doch Publikumszeitschriften für Touristen gab es nicht. [Der Spiegel, 17.06.1974]

წლების განმავლობაში ტურისტული ბაზრის **ბუმი** იყო, მაგრამ ტურისტებისთვის განკუთვნილი პოპულარული ჟურნალები არ არსებობდა.

ბუმი ქართულში შემოვიდა მხოლოდ არსებითი სახელის სახით და აღნიშნავს აჩქარებულ ზრდას, უცაბედ აღმავლობას.

Und dann hat er noch erzählt, daß er ganz toll **bowlen** kann. [Die Welt, 16.07.1999]

და მერე მან კიდევ მოყვა, რომ **ბოულინგში** ძალიან კარგი იყო.

bowlen ქართულში ზმნის სახით არ შემოსულა. ის შეიძლება ვთარგმნოთ როგორც ბოულინგი, ან ბოულინგის თამაში.

Drillinge dürfen gratis **campen** und sogar ihre Hunde gratis mitbringen. [Der Tagesspiegel, 25.07.2002]

სამ ტყუპს უფასოდ **კემპინგის** უფლება აქვს და თან მათი ძაღლებიც უფასოდ მიიყვანონ.

campen- კემპინგი ქართულში არსებითი სახელის სახით შემოვიდა, რაც ავტოტურისტებისათვის მოწყობილ საზაფხულო ბანაკს ნიშნავს.

Ein Mann und eine Frau lernen sich im Zug kennen, [...] spazieren [...] durch die Stadt, erzählen sich aus ihrem Leben, scherzen und **flirten** und spielen die kleinen Spiele der Liebe. [Süddeutsche Zeitung, 17.02.1995]

მამაკაცი და ქალი მატარებელში გაიცნობენ ერთმანეთს, [...] სეირნობენ [...] ქალაქში, უყვებიან ერთმანეთს თავიანთი ცხოვრების შესახებ, ხუმრობენ და **ფლირტაობენ**, თამაშობენ სიყვარულის პატარა თამაშებს.

flirten-ფლირტაობა ზმნის სახით დამკვიდრდა ქართულშიც, რაც არშიყს ნიშნავს. <https://dlab.ug.edu.ge/synonym/detail/54972/ფლირტაობა>

შემდგომ განვიხილავ ზმნური ანგლიციზმების დაყოფას სემანტიკურ ჯგუფებად სიტყვათწარმოების წესების მიხედვით.

ზმნურ ანგლიციზმთა უმეტესობა წარმოიშვა ინგლისურ ენაში არსებული ზმნების ფუძისგან გერმანული ინფინიტივის სუფიქსების -n ან -en დამატებით.

ზმნური ანგლიციზმები გერმანულში იწარმოება შემდეგი მოდელის მიხედვით:

1. ზმნური ანგლიციზმები, რომელთა ფუძეც ინგლისური არსებითი სახელისგანაა ნაწარმოები. აქ რამდენიმე ქვეჯგუფი გამოიყოფა:

1.1 ზმნური ანგლიციზმები, რომელთა ფუძე ნაწარმოებია არსებითი სახელისგან, რომელიც წარმოადგენს წინდებულის ობიექტს.

Die Betriebe werden **zum Trust-** Die Betriebe **vertrusten**. საწარმოები **ერთიანდებიან**.

1.2. მეორე ქვეჯგუფში ხვდება ზმნები, რომლებიც განიცდიან მდგომარეობის ცვლილებას. ხშირად ასეთი ზმნების საწარმოებლად გამოიყენება ieren სუფიქსი.

Das schnellste Gerät zur Dechiffrierung von Daten haben US Forscher [...] entwickelt. Es kann mehr als 6,7 Milliarden Bits pro Sekunde **codieren** und **decodieren**. [Die Welt, 15.07.1999]

ამერიკელმა მკვლევრებმა გამოიგონეს სწრაფი მოწყობილობა [...] განავითარეს. მას შეუძლია 6,7 მილიარდ ბიტზე მეტის წამში **კოდირება** და **დეკოდირება**.

codieren- კოდირება ქართულში დამკვიდრებული ზმნური ანგლიციზმია, რაც ნიშნავს ინფორმაციის ჩაწერას კოდის საშუალებით. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=113291>

1.3. შემდგომ ჯგუფში ერთიანდება ზმნები, რომლებიც რამეს გამოყენებას გამოხატავენ. ისინი უმეტეს შემთხვევაში ნაწარმოებელი სუფიქსის გარეშე იწარმოებიან.

Dort [an der Kasse] können die Verbraucher ihre Ware selbst **scannen** und anschließend bargeldlos bezahlen. [Süddeutsche Zeitung, 30.09.2004]

იქ [სალაროსთან] მომხმარებლებს შეუძლიათ საკუთარი პროდუქტი თვითონ ციფრულად გადაიღონ და შემდეგ განაღდების გარეშე გადაიხადონ.

scannen-დასკანერება ქართულში ზეპირმეტყველებაში გავრცელებული ზმნური ანგლიციზმია, რაც გულისხმობს სკანერის მეშვეობით ასლის ციფრულად გადაღებას, თუმცა აღნიშნული ანგლიციზმი ლექსიკონებში ჯერჯერობით შეტანილი არ არის.

1.4. ზმნები, რომლებიც რაღაცით აღჭურვას ან მის არქონას გამოხატავენ ისინი იწარმოებიან პრეფიქსების -be, -ver ან სუფიქს -ieren დართვით და მოითხოვენ პირდაპირ ობიექტს.

Nach Deutschland werden rund 20 bis 50 Autos ausgeliefert und an interessierte Kunden **verleaset**. [Die Zeit, 01.08.2011, Nr. 31]

გერმანიაში დაახლოებით 20-50 ავტომობილი იგზავნება და დაინტერესებულ მომხმარებლებზე **ქირავდება**.

verleasen -გაქირავება შეუძლებელია გადმოვიტანოთ ზმნური ანგლიციზმის სახით, თუმცა არსებობს მისი შესაბამისი არსებითი სახელი - ლიზინგი, რაც "მანქანა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებათა და მისთანების ხანგრძლივი იჯარის ფორმას ნიშნავს." <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=127092>

1.5. მიღწევის ზმნები, გამოხატავენ რაღაცის საშუალებით რამეს მიღწევას.

Jochen schien kurz zu überlegen, aber wahrscheinlich **bluffte** er nur. [Die Zeit, 12.03.2013, Nr. 10]

იოხენი ჩანდა, რომ ცოტა ხნით ფიქრობდა, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ **იტყუებოდა**.

1.6. სიკვდილის და გაფუჭების გამომხატველი ზმნებთან სუფიქსი -ieren არ გამოიყენება.

Läßt es sich denn nicht vermeiden, fast sechstausend Jobs zu **killen**? [Die Zeit, 20.03.1987, Nr. 13]

შეუძლებელია თავიდან ავირიდოთ თითქმის 6000 სამუშაო ადგილის **განადგურება**?

killen ნიშნავს, მოკვლას, განადგურებას. მას ქართულში ზმნური ანგლიციზმი არ მოეძებნება, თუმცა ფუძიდან kill ნაწარმოებია არსებითი სახელი კილერი, მკვლელი, რაც ლექსიკონებში ბარბარიზმად ფიქსირდება.

1.7. სივრცესთან დაკავშირებული ზმნები გამოხატავენ, რომ მოქმედება ხდება გარკვეულ ადგილას, ან ვინმე სადმე მიემგზავრება.

Dann stellt er sich wieder an die Straße und **trampft** weiter. [Süddeutsche Zeitung, 24.08.2002]

შემდეგ ის ისევ ქუჩაში დგება და ავტოსტოპით აგრძელებს **მოგზაურობას**.

1.8. ზმნების, რომლებიც გამოხატავენ გარკვეულ სივრცეში ქმედებას, იწარმოებიან სუფიქსების გარეშე.

Die Schiffe sollten **gedockt** werden. [Voß, Ernst: Lebenserinnerungen und Lebensarbeit des Mitbegründers der Schiffswerft von Blohm & Voß. In: Simons, Oliver (Hg.) Deutsche Autobiographien 1690-1930, Berlin: Directmedia Publ. 2004 [1924], S. 8728]

გემები უნდა შეყვანილიყო **დოკში**.

docken-ზმნის სახით ქართულში არ არსებობს და შეიძლება ითარგმნოს როგორც დოკში შეყვანა. დოკი ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს ნაგებობას, სადაც აწარმოებენ გემის კორპუსის წყალქვეშა ნაწილის წმენდას, შეღებვას, რემონტს. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=67588>

2. შემდგომ განხილული იქნება ზმნები, რომელთა ფუძეც ნაწარმოებია არსებითი სახელისაგან, რომელიც წარმოადგენს პირდაპირ ობიექტს.

აქ შეიძლება რამდენიმე ქვეჯგუფი გამოიყოს.

2.1. ზმნები, რომლებშიც „ვიღაც აკეთებს, ასრულებს რამეს“ იწარმოებიან სუფიქსების გარეშე. [დოლაპჩიევა 2006: 156]

In der Küche hat man ja auch nicht ein einziges Gerät, das Eier schneidet, Kaffee kocht und **toastet**. [Der Spiegel, 21.02.2000]

სამზარეულოში ხომ არც ერთი მოწყობილობაა, რაც კვერცხს ჭრის, ყავას ადუღებს და **ტოსტს აკეთებს**.

toasten ქართულში ვერ გადმოვიტანთ ზმნის სახით. თუმცა ტოსტი ენაში დამკვიდრდა და ნიშნავს თხელ და მშრალ გამომცხვარ საკვებს, რომელიც ხშირად არის მარილიანი და რომელსაც ყველთან ერთად მიირთმევენ. <https://dlab.ug.edu.ge/synonym/detail/19814/ტოსტი>

Denn künftig wird von sonntags bis donnerstags am Abend **getalkt**. [Die Zeit, 03.08.2011]

რადგან მომავალში ყოველი კვირა დღიდან ხუთშაბათამდე საღამოს **თოქმოლები** გაიმართება.

talken ნიშნავს საუბარს, თოქმოლს გამართვას. ზმნური ანგლიციზმი მას ქართულში არ მოეპოვება.

Wir haben nie gelernt zu **streiken**, doch lernen wir es vielleicht gerade. [Die Zeit, 26.12.1997, Nr. 1]

ჩვენ არასდროს გვისწავლია გაფიცვა, თუმცა ახლა, შესაძლოა, სწორედ ამას ვსწავლობდეთ.

2.3. ზმნები, რომლებიც რაღაცის შექმნას ან წარმოშობას გამოხატავენ, იწარმოებიან უაფიქსოდ. [დოლაპჩიევა 2006: 156]

Es ist wichtig, dass er total fit und nicht **gehandicapt** ist. [Bild, 25.09.2002]

მნიშვნელოვანია, რომ ის სრულიად ფორმაშია და არ არის **უნარშეზღუდული**.

2.4 მიცემისა და გადაცემის ზმნებში „ვიღაც უგზავნის ვიღაცას რაღაცას, აძლევს რაიმეს, ანიჭებს რაიმეს, აწვდის რაიმეს“

Nur drei Buchläden in Moskau und einer in St. Petersburg seien **computerisiert**. [Der Tagesspiegel, 11.09.2000]

მოსკოვში მხოლოდ სამი წიგნების მაღაზია და პეტერბურგში ერთი **კომპიუტერით აღჭურვილია**.

computerisieren ზმნური ანგლიციზმი ქართული ენის ლექსიკონებში არ ფიქსირდება, თუმცა არსებობს ანგლიციზმი კომპიუტერიზაცია, რაც ნიშნავს ელექტრონული მანქანების (კომპიუტერების) ფართო დანერგვას წარმოებაში, კვლევით მუშაობაში. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=116353>

2.5. აღნიშნულ ქვეჯგუფში ერთიანდებიან ზმნები, რომლებიც გარკვეულ ფსიქიკურ ზემოქმედებას ახდენენ სხვაზე. [დოლაპჩიევა 2006: 156]

Und wenn man **gestresst** ist, dann ist der Gast auch gestresst. [Die Zeit, 27.04.2009, Nr. 18]

და თუ **დასტრესილი** ხარ, მაშინ სტუმარიც დასტრესილია.

stressen-ქართულში შესატყვისი ზმნური ანგლიციზმი არ გვხვდება, თუმცა ლექსიკონებში ფიქსირდება ზედსართავი სახელი - დასტრესილი, რაც გაღიზიანებულს ნიშნავს. <https://dlab.ug.edu.ge/synonym/detail/59457/დასტრესილი>

2.6. შემდგომ ჯგუფში ერთიანდებიან ზმნური ანგლიციზმები, რომელთა ფუძეც ნაწარმოებია wie ან als და არსებით სახელებისაგან. მათ შეიძლება ვუწოდოთ შედარებითი ქმედების გამოხატველი და მიზამვის ზმნები. [დოლაპჩიევა 2006: 157]

.....sind ihm **versnobte** Elite Vereine zuwider. [Süddeutsche Zeitung, 19.04.1997]

მას არ მოსწონს **სნობური** ელიტური კლუბები.

versnoben ზმნის სახით ქართულში არ არსებობს, მაგრამ ლექსიკონებში შეტანილია ზედსართავი სახელი - სნობური, რაც ქედმაღლურს ნიშნავს.

2.7. პროფესიული საქმიანობის ზმნები გამოხატავენ ვინმეს მუშაობას სპეციალისტად. Das Team wurde von Faiq Cabbarov "gecoacht." [ABN Bərdə. In: Wikipedia: Die freie Enzyklopädie. 29.09.2024]

გუნდს ფაიკ კაბაროვი **წვრთნიდა**.

coachen ქართულში ზმნად არ გამოიყენება, თუმცა ენაში უკვე დამკვიდრდა ტერმინი ქოუჩინდი, რაც ლექსიკონებში ბარბარიზმად აღინიშნება და წვრთნას ნიშნავს. <https://dlab.ug.edu.ge/synonym/detail/0/ქოუჩინგი>

ზმნური ანგლიციზმების ანალიზი მოწმობს, რომ გერმანულში ინგლისურენოვანი ზმნები უფრო გავრცელებულია, ვიდრე ქართულში. ისინი ძირითადად ქართულში მხოლოდ არსებითი სახელის სახით ზმნასთან კომბინაციაში გადმოდის. არის მხოლოდ რამდენიმე ვერბალური ანგლიციზმი. მიზეზი შესაძლებელია იყოს ის, რომ ქართულს გერმანულთან შედარებით გააჩნია აბსოლუტურად განსხვავებული ენობრივი სისტემა. ზმნური ანგლიციზმების ადაპტაცია ხშირად გამოწვევად რჩება ქართველი სტუდენტებისთვის, რადგან ქართულში ხშირად ზუსტი შესატყვისები არ მოიძებნება.

ლიტერატურა:

1. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ. (2003): თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
2. ნიჟარაძე თ. (2015): თანამედროვე გერმანული ენის განვითარების ტენდენციები. "თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება". წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ქუთაისი.
3. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=14>
4. ქართული ენის ციფრული ლაბორატორია <https://dlab.ug.edu.ge>
5. Dolaptchiewa, M. (2006). Verbale Bedeutungsgruppen der Anglizismen im Deutschen. Dimova, A., u.a. (Hrsg.). *Zweisprachige Lexikographie und Deutsch als Fremdsprache: Drittes Internationales Kolloquium zur Lexikographie und Wörterbuchforschung, Konstantin Preslavski-Universität, 23.-24. Oktober 2005*. Hildesheim 155-159.
6. Duden Wörterbuch https://www.duden.de/rechtschreibung/Public_Viewing
7. <https://www.dwds.de>
8. Von Polenz, Peter (1999): Deutsche Sprachgeschichte vom Mittelalter bis zur Gegenwart, Band . Berlin/New York
9. Wegener, Heide (2007): Entwicklungen im heutigen Deutsch-wird deutsch einfacher? In: Deutsche Sprache. Zeitschrift für Theorie und Praxis Dokumentationen. Berlin

The Semantic Groups of Verbal Anglicisms in Modern German and Their Georgian Equivalents

Abstract

The article examines the semantic groups of verbal Anglicisms and their Georgian equivalents. The classification of these semantic groups is based on Dolaptchieva's model, which divides Anglicisms into specific categories. Examples are drawn from the digital Mannheim corpus, and their Georgian equivalents are analyzed. The aim of the study is to determine whether corresponding Anglicisms exist in Georgian and how these terms are adapted if no direct equivalents are available.

Furthermore, the article investigates both the morphological aspects of word formation and the semantic differences between the two languages. This analysis provides a systematic approach to better understand and correctly apply verbal Anglicisms, which will be particularly beneficial for students.

The research covers various types of Anglicisms, including: Verbs of usage; Verbs of provision with or without something; Spatial verbs; Verbs of achieving through something; Verbs of killing; Verbs of execution; Verbs of production; Verbs of giving; Verbs of causing physical change; Verbs of influence; Verbs of comparative action and imitation; Verbs of engagement in a specific profession and so on. This study contributes to fostering a deeper understanding of verbal Anglicisms and ensures their accurate usage in the Georgian language.

Key words: Verbal Anglicisms, wordformation, morphological aspects motivation, semantic differences.